Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

2021 წლის აპრილის თვეში, საქართველოს საგადასაახდო კანონმდებლობაში ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

საქართველოს მთავრობის დადგენილება უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობამ უკვე მეორედ გამოიყენა შრომის კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით შემოიღო უქმე დღეები. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის #175 დადგენილებით 2021 წლის 4 მაისიდან 8 მაისის ჩათვლით დღეები და 10-11 მაისი განისაზღვრა უქმე დღეებად. ამრიგად, შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების (აღდგომის დღეები და წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე) და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღეების გათვალისწინებით, 2021 წლის 30 აპრილიდან 12 მაისის ჩათვლით დღეები წარმოადგენს უქმე დღეებს, შესაბამისად უქმე დღეებში სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ანაზღაურების, ასევე უქმე დღეების ნაცვლად სხვა დასვენების დღეების მოთხოვნის საკითხები განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსით.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის ერთობლივი ბრძანებით განისაზღვრა იმ მეწარმე სუბიექტების ან/და საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებზეც არ გავრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილება უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ და რომელთა უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვის, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ასეთ სფეროებს და საქმიანობებს განეკუთვნება:

- პირველადი ჯანდაცვის და სტაციონარული სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელი დაწესებულებები;
- ის სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებლები, რომლებიც ახორციელებენ Covid-19 მართვის ღონისძიებებს, მათ შორის პრევენციას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობას, დაფინანსების წყაროს მიუხედავად;
- ფარმაცევტული საქმიანობა;
- 24-საათიანი ზრუნვის სპეციალიზებული დაწესებულებები და „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მობილური ჯგუფები;
- სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, დისტრიბუცია, რეალიზაცია;
- საავტომობილო სატვირთო გადაზიდვები;
- სარკინიგზო და საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანა;
- სანავსადგურე, სააეროპორტო და სანავიგაციო მომსახურება;
- საფოსტო და საკურიერო მომსახურება;
- წყალმომარაგების საქმიანობა, ელექტროენერგიის გენერაცია, ელექტროენერგიისა და გაზის გადაცემა, განაწილება, მიწოდება და ვაჭრობა. ასევე, ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერაციები;
- პირების სავალდებულო კარანტინში განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნასთან

დაკავშირებულ მომსახურებებზე პასუხისმგებელი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები და ფიზიკური პირები;
- სამაშველო საქმიანობა;
- ჟანგბადის წარმოება-მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობები;
- უწყვეტი ტექნოლოგიური ციკლის მქონე საწარმოები (საწარმოები, სადაც ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია საქმიანობის შეჩერება);
- დაკრძალვასთან დაკავშირებული საქმიანობები;
- მეტალურგია, სამთომოპოვებითი მრეწველობა, წიაღის გამდიდრების სამუშაოები, ასევე აღნიშნული სამუშაოების სრულყოფილად და უსაფრთხოდ განხორციელებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი საქმიანობები;
- ნარჩენების მართვა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების და სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტების, ასევე მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარული პრეპარატების, აგროქიმიკატების წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია, რეალიზაცია;
- სასოფლო-სამეურნეო სერვისების მიწოდება;

იზოლაციისა და კარანტინის წესებში შესული ცვლილება

იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილებაში 2021 წლის 27 აპრილს შეტანილ იქნა მორიგი ცლილება, რომლის მიხედვითაც დროებით იცვლება გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები.

კერძოდ, ცვლილების თანახმად:

- 2021 წლის 1 მაისიდან, 2021 წლის 2 მაისამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა იმოქმედებს 23:00 საათიდან 04:00 საათამდე. დანარჩენ დღეებში შეზღუდვა კვლავ ძალაშია 21:00 საათიდან 05:00 საათამდე;
- 2021 წლის 3 მაისიდან 2021 წლის 12 მაისის ჩათვლით ჩერდება მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონირება, მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ასევე მეტროპოლიტენის, საბაგიროს ფუნქციონირებაც;
- 2021 წლის 2 მაისიდან 2021 წლის 4 მაისის ჩათვლით იკრძალება სასაფლაოს ტერიტორიაზე შესვლა;

ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2021 წლის 30 მარტს შესული ცვლილებებით (გამოქვეყნდა 2021 წლის 13 აპრილს) ახლებურად დარეგულირდა უცხო ქვეყანაში მყოფი მოპასუხისთვის უწყების ჩაბარების საკითხი. კერძოდ, ცვლილების მიხედვით თუ საზღვარგარეთ გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებული არ არის, აღნიშნული უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ ის გაიგზავნა „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ 1965 წლის 15 ნოემბრის ჰააგის კონვენციის მიზნებისთვის, იმავე კონვენციით დადგენილი წესით და მის ჩასაბარებლად ყველა გონივრული მცდელობა განხორციელდა, ამასთანავე, თუ ამ უწყების პირველად გაგზავნის თარიღიდან გასულია არანაკლებ 6-თვიანი ვადა და საქმის განმხილველმა მოსამართლემ ეს ვადა საკმარისად მიიჩნია.

ცვლილების მიხედვით თუ საზღვარგარეთ გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარებისთვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება შეუძლებელს ხდის საქმის განხილვისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადის დაცვას, საქმის განხილვის ვადა აღნიშნული უწყების ჩაბარებისთვის დადგენილი ვადით გაგრძელებულად ჩაითვლება.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.